

სახალხო ბაზუი

სურათებიანი ლამაზება

გაზეთის № 819

ლამაზების № 144

კვირა, 10 თებერვალი 1913 წ.

ანკვილი სიკვილისა

6*).

ქაბუკმა შეუხვია ლერწმას კრილობა, გადიყარა ლოყახე ჩამოფენილი თმა, ჩამოიბერტყა წვერი, რომელსაც ლერწმის ჩენჩო დასდენოდა და წაწოდგა. სახეზე ფიქრი რამ გადაჰყო- და ბურუსად, ისეც ჩათხრობილ თვალებში ნალველი ჩაჰსახო- და მსუბუქი: ნორჩი ლერწმის უბედო ბედს დარდები აეშალ- ნა მისთვის, ყოველი კეთილით სამსე ბუნების კალთაზე შენი- შნულს სიავეს ვარდის ფერი მისი ფიქრები ზაფრანის ფერად შეეღებნა, იის მაგვარ მის გრძობებისთვის ლაქვარდის ფერი მიეფინა.

მაინც ამბოლოს დროს ელის- ბარის თვითგრძობა ვერ იყო სავსებით სავსე; მის წყნარ და მიზანშეწყობილ ცხოვრებას დარდი რამ სწეოდა. თუმცა მწვავე არ იყო იგი ლანდი დარდისა, მაინც ახუნებდა მის სიამის თაიგულს, კიდევ აქ- ცნობდა მას. მისი გული აწ სხვა კმაყოფილებას ითხოვდა, სხვა საგანს მისწრაფებისას, რომ თავს შემოეგლო მისთვის თავის სუნნელოვანი გრძობა- ნი; იმ საიდუმლო საგანს უნდა აღევსო მისი ნაკლული გული პირთამდე, დაეკმაყოფილებინა ის, დაეწყნარებინა, დაეჭკობ. ფიქრთა გუნდიც აშლოდა მას, მის ჰკვიან თავში ფუტკარი- ვით ირეოდა ჰაზრთა კრებული უკმაყოფილო ღ დაუწყნარებე- ლი ქაბუკის ჰაზრები თუ ფი- ქრები თხოულობდნენ არსება- ში მოსვლას, განხორციელებას, გამოთქმას, გვერდით კი არავი- ნა ჰყვანდა ისეთი, რომლისა თვისაც შესძლებოდა გარდაეცა თავისი ყველა ფიქრები, ყო- ველივე მიმოხვრა ფიქრისა. მის სურვილთა და მისწრაფებათა დასიც ველარ იყო მწყობრად დარაზმული, ველარ მიმდინა- რეობდა შეურყეველად, აუმღვრეველად; ველარც მარჯვედ ასდევდნენ იგინი მოქმედ ნებას: ახალს და მახლობელ რამ საგანს თხოულობდნენ მისწრაფებისა. ქაბუკის გრძობებიც, ფიქრებიც და სურვილებიც ითხოვდნენ განხორციელებას, გა- მოთქმას, გაზიარებას, თანაგრძობას, სხვა თანაგრძობ და შემგნებელ პიროვნებაში გადასვლას, რომ გამოსულიყვნენ იგინი იმ სხვის სულში, როგორც რამ სარკეში. მისი სული ეძებდა ესეთ მახლობელ სულს მონათესავეს, თანატოლს, რომელიც უნდა ყოფილიყო განგრძობა საუკეთესო მისი პიროვ- ნებისა.

ელისბარის ხორციელი ბუნებაც ველარ იყო კმაყოფილი და დაწყნარებული, აწინდელი თვისი ყოფნა ველარ აკმაყო- ფილებდა სავსებით: იგი გრძობდა, რომ მისი არსება ხორ- ციელი, ან მშვენიერი და ძლიერი, მხოლოდ ჟამიერი იყო,

წუთიერი და უნდა დამკნარიყო, დაკნინებულიყო, დაშლი- ლიყო, და ჰსურდა განეგრძო თვისი ხორციელი არსებობა, განემეორებინა იგი თვის ხატად და მსგავსად შექმნილ ახალ არსებაში, რომ მასში ენახა თავისი თავი განახლებული. ძლი- ერად მიისწრაფოდა ქაბუკის ხორციელი არსება ამისადმი და ეძებდა თავის ცალს, რათა შეუღლებოდა მას და შექმნილი- ყვნენ ორნი ერთ ხორც და ერთ სისხლ, ორად განყოფილ, გარნა განუკეთელ, განუცალკევებელ პიროვნებად.

ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის იუბილემის გამოს




ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი.

კავებელის სურვილით და ეს ლტოლვილიება არის ყველა არ- სისათვის საერთო, ძლიერი, უტკბესი გოლგულისა. მაგრამ თუ ამ კავშირს არ მოსდევს გვარის განგრძობა, იგი ერთობა არ არის ნაკურთხი შემოქმედისაგან და უაზროა, როგორც უშე- დეგო. შეიძლებელი კია უარყოფა ბუნების ამ კანონისა! თუ უარჰყოფ მას, დაისჯები ბუნებისაგან: გააწამებს ბოლოს სი- ნანული ძლიერი და დაგირღნის გულს, როგორც რამ მდილი სამარისა.

— მეც უნდა გავყვე ამ საერთო კანონს და ვბოვო თა- ნამგზავრი ცხოვრებისა! რასა ჰგავს ეხლა ჩემი ცხოვრება? ვი- ცი, რა ჰაზრს ვემსახურები, ცხადია ჩემის შრომის მიზანი, მაგრამ მაინც მთლად ვერ მაკმაყოფილებს ყველა ეს და ეხ- ლაც, ამ სიმშვენიერით და სავსებით გარემოცული, ვერა ვგრძობ სიხარულს უნაკლულოს, კმუნვა რამ შემომწოლია გამოურკვეველი.


7. მეილოის პოინის ფიქრი აღრეც მოსდიოდა ჰასაკში მო- სულ ქაბუკს, მაგრამ მხოლოდ გაკვრით, უფრო წესისა და

*) იხ. სურათებიანი დამატება № 143.



ვლადიმერ ალექსი-მესხი

მესხი უვინი სხვა



ვლ. მესხიშვილი (ჰამლეტის როლში).!



ვლ. მესხიშვილი (გაიოზის როლში. „ღა-მა“).



ვლ. მესხიშვილი (რასპლუევის როლში).



ვლ. მესხიშვილი (შეშლილის წებრლებში).


შვილის ნუბილეს გამო და სხვა რეკლამები




ვლ. მესხიშვილი (ლევანის როლში. „სამშობლო“).



ვლ. მესხიშვილი (ფრანკ-მოლორის როლში).



ვლ. მესხიშვილი (შეშლილის წერილებში).



ვლ. მესხიშვილი (რობერტის როლში. „აქადემიური ხალხი“).

